სტარტი 3

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ქართულის, მათემატიკის, ბუნების, ხელოვნებისა და მე და საზოგადოების ინტეგრირებული სწავლებისთვის

სულაკაურის გამომცემლობა

ნინო შიუკაშვილი

ნინო შიუკაშვილი

სტარტი 3

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ქართულის,
მათემატიკის,
ბუნების,
ხელოვნებისა და მე
და საზოგადოების
ინტეგრირებული
სწავლებისთვის

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

1. ქარის მოტანილი ამგავი

ნაწილი I 5

ნაწილი II 11

2. დიტოს გადაწყვეტილება

ნაწილი I 19

ნაწილი II 23

3. გაზეთების გამყიდველი

ნაწილი I 30

ნაწილი II 35

4. ჰოგოჰ გარნდა ცისარტყელა

ნაწილი I 43

ნაწილი II 49

5. ცისარტყელა 58

6. უშიშარი კაპიტანი

ნაწილი I 66

ნაწილი II 71

7. კენგურუ

ნაწილი I 77

ნაწილი II 80

ქარის მოტანილი ამბავი

ნაწილი I

გსმენიათ რამე ქარის მოტანილ ამბებზე? მერწმუნეთ, იმდენ საინტერესო და უცნაურ რამეს გაიგებთ, ვერც კი წარმოიდგენთ.... მეც გიამბობთ მისგან გაგონილ ამბავს.

ერთ პატარა ქალაქში საოცრად კეთილი და მოსიყვარულე ადამიანები ცხოვრობდნენ. ვერ ნახავდით მომდურავს. ერთმანეთს ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. კეთილსინდისიერად შრომობდნენ და სხვასაც უფასებდნენ შრომას. ქალაქის ქუჩები ისეთი დაკრიალებული იყო, ძირს დაგდებულ ფოთოლსაც ვერ ნახავდით. ქარი წუწუნებდა, ვერაფერს **ავაკორიანტელებდი**, ძალიანაც რომ მომენდომებინაო. ამიტომ მეეზოვეებს ქალაქის მკვიდრნიც განსაკუთრებულად სცემდნენ პატივს. დილით ხომ ყველაზე ადრე ისინი დგებოდნენ და სანამ ქალაქი გაიღვიძებდა, ყველა ქუჩასა და სკვერს ასუფთავებდნენ. მადლიერი ქალაქელებიც ღიმილით ესალმებოდნენ და ნაგავს არასდროს ყრიდნენ ძირს.

კოხიანტელი – ჰაეროში ავარდნილი დიდი მტვერი

ერთხელ ამ ქალაქში ახალი მოსახლე გადმოვიდა. ქალაქელები სიხარულითა და ღიმილით შეხვდნენ, მაგრამ კაცი ისეთი უხასიათო აღმოჩნდა, გაგიკვირდებათ და გამარჯობასაც არავის ეუბნებოდა. სწყინდათ ქალაქელებს, მაგრამ რას **გააწყობდნენ**?! ერთი უცნაური რამ კი **დასჩემდათ**: როცა ამ კაცის სახლთან გაივლიდნენ, სახიდან ღიმილი უქრებოდათ.

ახალ მეზობელს არც თავაზიანად საუბარი შეეძლო და არც სხვისი შრომის დაფასება. მის ქუჩაზე მეეზოვესაც ყველაზე მეტი საქმე გაუჩნდა. რას არ ნახავდით ძირს დაგდებულს: ნაფცქვენს, ქაღალდებს, ნამსხვრევებს... დილით, როცა მეეზოვე ქუჩას გვიდა, კაცი უსალმოდ ჩაუვლიდა და მიაძახებდა, კარგად დაგავეო! სწყინდა მეეზოვეს, მაგრამ თავის საქმეს მაინც კეთილსინდისიერად ასრულებდა. იმ ქუჩაზე კეთილი ადამიანებიც ხომ ცხოვრობდნენ?!

ხას გააწყობდნენ – ხას იზამდნენ
დასჩემდათ – წესად, ჩვევად ექცათ

ქართული

1. როგორი ადამიანები ცხოვრობდნენ ქალაქში?
   - [ ] კეთილი, მოსიყვარულე და შრომისმოყვარე.
   - [ ] ამპარტავანი და უქნარა.
   - [ ] ზარმაცი და ჭორიკანა.

2. რაზე წუწუნებდა ქარი? იმაზე, რომ:
   - [ ] საქმე არ ჰქონდა.
   - [ ] ქალაქი ისეთი სუფთა იყო, ვერაფერს ააკორიანტელებდა.
   - [ ] დაღალა ამდენმა ხეტიალმა.

3. რატომ სცემდნენ ქალაქელები მეეზოვეებს პატივს?

___

4. როგორი ხასიათი ჰქონდა ახალ მეზობელს?

___

5. როგორ ექცეოდა იგი მეეზოვეს?
   - [ ] არ ესალმებოდა.
   - [ ] თავაზიანად მოიკითხავდა.
   - [ ] უსალმოდ ჩაუვლიდა და მიაძახებდა, კარგად დაგავეო!

6. კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხე სათაური, მოთხრობის პირველი თავი და დააკვირდი ილუსტრაციებს.

ა. შენი აზრით, როგორ გაგრძელდება ამბავი?

ბ. რატომ ფიქრობ ასე? დაიხმარე წინადადებები ტექსტიდან.

7. შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვებით.

ა. ქარი

ბ. ქარმა

გ. ქარს

დ. ქარის

ე. ქარით

ვ. ქარად

ზ. ქარო

8. მიუწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

ა. დაღლილი _____

ბ. მოწყენილი _____

გ. სუფთა _____

გუნება

9. რა შემთხვევაში შეიძლება ქარმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს ქალაქს (სოფელს)?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მათემატიკა

10. მეეზოვე ერთი ქუჩის დაგვას 35 წუთს ანდომებს. რა დროს მოანდომებს იგი ერთი უბნის დასუფთავებას, თუკი უბანში ერთი და იმავე სიგრძის 5 ქუჩაა?

პასუხი: _____

11. თაროზე 75 ცალი ფურცელი ეწყო. ყველა გვერდი დანომრილი იყო. ქარმა დაუბერა და 58 გვერდის ჩათვლით ფურცლები იატაკზე ჩამოყარა. რამდენი ფურცელი ჩამოუყრია ქარს?

პასუხი: _____

12. დილით ქარი კარგ გუნებაზე იყო, ამიტომ ნელა დასეირნობდა ქალაქის უბნებში. მისი სიჩქარე წამში სულ რაღაც 4 მ იყო. საღამოს უსაქმურობით გაბეზრებული ქარი გაბრაზდა და 9-ჯერ უფრო სწრაფად დაიწყო ქროლა. რამდენი იყო ქარის სიჩქარე საღამოს?

პასუხი: _____

ნაწილი II

ერთხელ მეეზოვე ავად გახდა, თითქმის მთელი კვირა იავადმყოფა. წარმოგიდგენიათ, იმ ქუჩაზე რა მოხდებოდა?! მაგრამ არავინ დაბნეულა. ყველა საკუთარი ეზოს დასუფთავებას შეუდგა. ასე გრძელდებოდა მეეზოვის გამოჯანმრთელებამდე. მხოლოდ ახალი მეზობელი **თაკილობ-და** საქმეს. ქარსაც მეტი რა უნდოდა? დაუბერავდა, მისი ეზოდან აიტაცებდა ფურცლებს, ფოთლებს და ხან ერთი, ხან მეორე მოსახლის ეზოში ყრიდა. ამას თავი დაანებეთ, ქუჩებშიც კი ფანტავდა ნაგავს. ბრაზობდნენ მეზობლები. ქარის **ონავრობამ** ლამის ერთმანეთს გადაჰკიდა აქამდე კეთილგანწყობილი ხალხი. თუმცა, ქარიც არ ქრის გაუთავებლად, აურზაურიც მალე მიწყნარდა და ქალაქს სიმშვიდე დაუბრუნდა...

უნდა გენახათ, როგორი სიხარულით შეხვდნენ მეეზოვის გამოჯან-მრთელებას. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ უხასიათო კაცსაც კი გაუბრწყინდა თვალები მისი დანახვისას. და, როცა საკუთარი ეზო დასუფთავებული დაინახა, ძალიან შერცხვა. იმასაც მიხვდა, ამ ქალაქში ყველაზე კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობდნენ. მას შემდეგ იგი ყველა მეზობელს ღიმილით ესალმებოდა. მეეზოვესაც თავაზიანად დაუკრავდა თავს და მადლობას უხდიდა. ქუჩასაც დაუბრუნდა ძველებური **ლაზათი**. მხოლოდ ონავარმა ქარმა მოიწყინა ძველებურად. ახლა მარტო ქუდებსღა თუ წაართმევდა ბავშვებს, სხვა ვერაფრით ერთობოდა. ალბათ წავა, სხვა ქალაქებსაც გადაუქროლებს და კიდევ ბევრ ამბავს მოგვიტანს.

თაკილობდა – არ კადრულობდა
ონავრობა – ცელქობა
ლაზათი – მშვენიერება, სილამაზე

ქარიშუღი

1. როგორ მოიქცნენ ქალაქელები, როცა მეეზოვე ავად გახდა?

2. რატომ გაბრაზდნენ მეზობლები?

3. როგორ შეხვდნენ მოქალაქეები მეეზოვის გამოჯანმრთელებას? (უპასუხე და შემდეგ ტექსტიდან ამოიწერე შესაბამისი წინადადება)

4. შენი აზრით, რატომ შერცხვა კაცს? რატომ უხდიდა ის მეეზოვეს მადლობას?

5. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „ქარის მოტანილი ამბავი“? შენ როგორ დაასათაურებდი?

6. დაახასიათე პერსონაჟები სქემის მიხედვით.

მეეზოვე	თვისება	არგუმენტი ტექსტიდან
	თვისება	არგუმენტი ტექსტიდან
	თვისება	არგუმენტი ტექსტიდან

ჩემი აზრით, მეეზოვე არის

ახალი მეზობელი		
	თვისება _____	არგუმენტი ტექსტიდან _____
	თვისება _____	არგუმენტი ტექსტიდან _____
	თვისება _____	არგუმენტი ტექსტიდან _____

ჩემი აზრით, ახალი მეზობელი არის _____

7. გახდი თანაავტორი. ალბათ შენც გიცდია ქარის მონათხრობის მოსმენა. დაწერე შენი გაგონილი „ქარის მოტანილი ამბავი“.

ხელოვნება

8. წარმოიდგინე და დახატე, როგორი იქნებოდა ქუჩა მეეზოვის ავად გახდომის შემდეგ.

გუნება

9. როგორ შეიძლება ქარის ძალის ეფექტურად გამოყენება?

მე და საზოგადოება

10. შენი აზრით, საჭიროა თუ არა მეეზოვის პროფესია? რატომ?

11. ჩამოთვალე კიდევ 3 პროფესია, რომლებიც მიგაჩნია მნიშვნელოვნად და საჭიროდ. რატომ?

1.

2.

3.

12. რამდენად შესაძლებელი იყო, ქალაქის მკვიდრთ მოეთხოვათ, რომ ახალ მეზობელს დაეტოვებინა ქალაქი? დაირღვეოდა თუ არა მისი უფლებები? რატომ?

13. როგორ ფიქრობ, რამდენად საჭიროა, ყველამ თავის საცხოვრებელ გარემოზე იზრუნოს?

14. ახალი მეზობელი თაკილობდა საკუთარი ეზოს დასუფთავებას. ონავარმა ქარმა ამით ისარგებლა და ღამის ერთმანეთს გადაჰკიდა მეზობლები. მიუხედავად ამისა, ახალი მობინადრის მიმართ არავითარი ზომები არ მიუღიათ. შენ რომ იმავე ქუჩის მკვიდრი ყოფილიყავი, რას მოიმოქმედებდი? რატომ?

÷ 7 – + 3 – **მათემატიკა** – – 1 – 5 = +

15. მეეზოვეს ექიმმა გამოუწერა წამლები. მას ყოველ 3 საათში 15 მილიგრამი წამალი უნდა დაელია. რამდენი მილიგრამი წამალი დასჭირდებოდა მთელი დღის განმავლობაში, დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე? (გაითვალისწინე, რომ წამლის მიღებას 6 სთ-ზე იწყებდა).

პასუხი: _____

16. დიასახლისს ნერგების გამოსაყვანად ჰქონდა 3 ქოთანი წარწერებით: „ზამბახი“, „ნარცისი“ და „გვირილა“. ონავარმა ქარმა ქოთნებს წარწერები მოჰგლიჯა. დიასახლისმა სცადა გაეხსენებინა, რომელ ქოთანში რა დათესა და ნახატზე მოცემული თანმიმდევრობით დააკრა წარწერები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა წარწერა არასწორი იყო. მიუწერე ქვეშ, რომელ ქოთანში რა გაიზრდება.



მასწავლებლის კომენტარი